სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 52

ქ. თბილისი

04 აგვისტო 2014 წ.

ერთის მხრივ სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის გივი ბასილაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „NewArchStudio"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვალერიან იობიძის** სახით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და **N1294** ელექტრონული კონკურსის საკონკუროს განცხადებისა და გამარჯვებული კონკურსანტის (შპს„NewArchStudio") საკონკუროს წინადადების საფუძველზე, ვდებთ წინადებარე ხელსეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მოთხოვნათა საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, მასში მინიშნებული ყველა თანდართული დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5. "არაჯეროვანი შესრულება" - ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველისათვის ისეთი სახის მომსახურების მიწოდება, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საგანს, თუმცა ბოლომდე არ აკმაყოფილილებს აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პირობას.

1.6. "ტექნიკური დავალება" - საკონკურსო განცხადების ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ პროექტისა და გეგმის მომზადებასთან, ასევე ხარჯების გამოთვლასთან დაკავშირებული მომსახურების (CPV71242000) შესყიდვა.

2.2. შესასყიდი მომსახურება კონკრეტულად გულისხმობს - ქ.თბილისში, მარშალ გელოვანის N6 (საკადასტრო კოდი: 01.10.10.022.084) მდებარე ადმინისტრაციული შენობისა და დამხმარე ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისათვის და მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა- მიწოდებას.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **21450 (ოცდაერთიათასოთხასორმოცდაათი) ლარს**.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

3.3. ხელშეკრულება ფინანსდება „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით შემსყიდველისათვის გამოყოფილი ასეგნებების ფარგლებში

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. „მიმწოდებელმა" საპროექრტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმეტაცია, სრულყოფილი და დასრულებული სახით, N1294 კონკურსის ტექნიკური დავალების, ასევე საკონკურსო განცხადების 21 და 22 პუნქტებთან შესაბამისობაში, უნდა წარმოუდგინოს „შემსყიდველს" ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს უნდა მიეწოდოს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ჩაჩავას ქუჩა N8, მე-5 სართული, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ადმინისტრაციული ოფისი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი (ან მისი ნაწილი) ჩაითვლება მიღებულად (მიწოდებულად) მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მომქმედი კანონმდებლობით გათვალისიწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერენ შემსყიდველი მიერ შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

5.3. კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლით.

5.4. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განხორციელდება მხარეთა შორის სსიპ ლევან სამხარაული სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს„ დადებითი დასკვნის შემდეგ არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.5. თუ მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, კონტროლის განმახორცილებელი ჯგუფი, მომწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს შესაბამის აქტს.

5.6. შესყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის შემოწმების შედეგებით გამვლენილი ხარვეზებისა და წუნის შესახებ.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება 15 დღის განმავლობაში, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან.

6.4. მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხა ჩაირიცხება წინამდებარ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. „მიმწოდებლის" მიერ, ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველი" უფლებამოსილია თვითონ მიიღოს ზომები ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული დეფექტებისა და ხარვეზების გამოსასწორებლად და მოსთხოვოს მომწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება;

7.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს გაწეულის მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.5.1. საკონკურსო განცხადების, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საკონკურსო წინადადებით დადგენილი პირობების შესაბამისად განახორციელოს მომსახურების მიწოდება;

7.5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღებისას გამოვლენილი წუნი ან/და უზუსტობა აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

7.5.3. თუ შესყიდვის ობიექტის სათანადო წესით ჩაბარების შემდეგ, შემსყიდველის მიერ წრამოდგენილი პროექტის საფუძველზე მიმდინარე საამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროცესში გამოვლინდება პროექტირებისას გაუთვალისწინებელი პირობებით გამოწვეული ან პროექტის სხვა სახის ხარვეზი, აღნიშნულის შესახებ შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, საკუთარის სახსრებით გამოასწოროს ყველა ნაკლოვანება და ხარვეზი.

7.5.4. განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. „მიმწოდებლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეურნეო და ქონების მართვის სამმართველოს უფროსი **რევაზ სიჭინავა** და ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი **თენგიზ ქურდაძე**

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9. გარანტია

„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ, N1294 კონკურის საკონკურსო განცხადებისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად მოწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და მომსახურების ამ სფეროში მოქმედი სტანდარტების შესაბამისი.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისავის

10.1. ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მომწოდებელს“ დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5 % ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

10.2. „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველს“ უფლება აქვს დააკისროს „მომწოდებელს“ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% ოდენობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე;

10.3. თუ ხელშეკრულების 10.1. და 10.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %, „შემსყიდველ“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

10.4. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5. ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ უფლება აქვს დააკისროს „შესყიდველს“ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მოქმედებს მისი ხელმოწერის მომენტიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. N 1294 კონკურსის საკონკურსო განცხადება , გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	შპს „NEWARCHSTUDIO"
ს.კ. –205309655 ფაქტიური მისამართი: თბილისი, ჩაჩავას ქუჩა N8, მე-5 სართული იურიდიული მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის N6 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა	ს.კ. – 412680380 ფაქტიური მიასმართი: ქ.თბილისი; ი. ჭავჭავაძის N55 იურიდიურლი მისამართი: ქ. ქუთაისი, მ. ასლანიკაშვილის N57 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ტაოპრივატ ბანკი" ბ.კ. –GAVOGE22 ა.ა. – GE05TP 0036080020000969 ტელ: 595 65 85 23; 225 39 26
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე გივი ბასილაძე _____	დირექტორი _____ ვალერიან იობიძე